



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№ 998

2016 წლის 08 სექტემბერი

ქ.ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 27 ივნისის №648 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 27 ივნისის №648 ბრძანებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირის ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ“. კერძოდ, კომისიის თავმჯდომარის გიორგი ბოკერიას, კომისიის თავმჯდომარის მოადგილის გიორგი მჭედლიშვილის შევბულებაში ყოფნისა და კომისიის წევრის ზვიად ხვედელიძის მიერ კომისიის პირადი განცხადების საფუძველზე დატოვების გამო, კომისიის შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

კომისიის თავმჯდომარე:

ა) ალექსი ჭანკოტაძე - გამგებლის მოადგილე;

კომისიის წევრები:

ბ) ივანე მანაგაძე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი);

გ) თამარ დარბაიძე - კომისიის მდივანი (იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი);

დ) დავით მათიაშვილი - საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე;

ე) ალექსანდრე ბაინდურაშვილი - საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე.


მუხლი 2. ბრძანების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ძალაშია 2016 წლის 12 სექტემბრამდე.

მუხლი 3. ბრძანების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ძალაშია 2016 წლის 1 ოქტომბრამდე.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

გამგებელი:



კარლო ჯამბურია